საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-10/ 111

ქ. ბათუმი 10 ოქტომბერი, 2022 წ.

ბსუ-ს საერთო საცხოვრებელში სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით ონლაინ რეგისტრაციის გამოცხადების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15, 66-ე, 66[1]-ე და 69-ე მუხლების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 09 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის №07-01/06 გადაწყვეტილების, **,,ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 25 ივლისის N01-10/95 ბრძანების** (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 1 აგვისტოს N01-10/82 ბრძანებით), „ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 4 მარტის №01-10/18 ბრძანების, ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის მენეჯერის თემურ გოგიტიძის 2022 წლის 27 ივლისის №849102 და 2022 წლის 6 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 22 0001245419, 06/10/2022) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს საერთო საცხოვრებელში სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით **გამოცხადდეს ონლაინ რეგისტრაცია** თავისუფალ ადგილებზე.
2. ონლაინ რეგისტრაცია განხორციელდეს ბსუ-ს პორტალზე შესაბამისი ველიდან, 2022 წლის **10 ოქტომბრიდან 16 ოქტომბრის ჩათვლით** (საჭიროების შემთხვევაში ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გაგრძელდეს ონლაინ რეგისტრაცია წინამდებარე ბრძანებაში ცვლილების შეტანის გარეშე).
3. ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ონლაინ რეგისტრაციის გავლამდე აუცილებელია **სტუდენტმა ამავე პორტალზე შეავსოს ე.წ. ,,სოციალური ბარათი“-ს ველი** (უპირატესი უფლების მქონე პირთა გამოვლენის მიზნისათვის) **და წარმოადგინოს** ,,ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესის“ შესაბამისად შევსებული განაცხადის ფორმა (წინამდებარე ბრძანების **N1 დანართი).**
4. დაევალოს საერთო საცხოვრებლის მენეჯერს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ერთობლივად, კოორდინირებულად უზრუნველყონ ონლაინ რეგისტრაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება და სტუდენტთა ინფორმირება.
5. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ბსუ-ს საერთო საცხოვრებელში სარგებლობის უფლების მოპოვების

მიზნით ონლაინ რეგისტრაციის გამოცხადების თაობაზე ტექსტის მომზადება და ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის წარდგენა (სამსახურებრივი ბარათის მეშვეობით).

6. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს წინამდებარე ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

7. დაევალოს კანცელარიას წინამდებარე ბრძანება განათავსოს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

8. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, რექტორის აპარატს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, ბსუ-ს საერთო საცხოვრებელის პერსონალს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და იურიდიულ დეპარტამენტს.

9. ბრძანება ძალაში ხელმოწერისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ეკინთე ჩხარტიშვილი

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის

10 ოქტომბრის N 01-10/111 ბრძანების

დანართი N1

განაცხადი

(ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის ფართით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად)

1. სახელი, გვარი, პირადი ნომერი ----------;

2. დაბადების თარიღი -- ----------;

3. ტელეფონი ----------

4. ელექტრონული ფოსტა ---------- ;

4. რეგისტრაციის მისამართი ----------;

5. ფაკულტეტი ----------;

6. საგანმანთლებლო პროგრამა და სწავლების წელი (კურსი) ----------

7. ფართის სარგებლობის სასურველი პერიოდი ----------;

8. <u>მიუთითეთ (მონიშნეთ) ის ფაქტობრივი გარემოება,</u> რაც შესაძლებლობას მოგცემთ ისარგებლოთ სარგებლობის საფასურში შეღავათით, „ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 4 მარტის №01-10/18 ბრძანების გათვალისწინებით:

---

9. სხვა ინფორმაცია, რომელსაც განმცხადებელი არსებითად მიიჩნევს (საერთო საცხოვრებლის წესით გათვალისწინებული კრიტერიუმი, სპეციალური საჭიროება, ჯანმრთელობის მდგომარეობა ან/და სხვა) ----------

განცხადების შევსების თარიღი ----------

ხელმოწერა ----------